იურიდიული დახმარების სამსახური

მის: დ. აღმაშენებლის გამზ. N140ა,
0112 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 /32/ 292 00 55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 91. „22" „ივნისი" 2021 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Case-bank) ცვლილებებისა და საკონსულტაციო ცენტრის, იურიდიული დახმარების ბიუროს, მიმწოდებლისა და რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატის ანგარიშგების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ

„იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შეთანხმებულად ჩაითვალოს სამსახურის დირექტორის მიერ წარმოდგენილი იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Case-bank) განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი (დანართი N1);
2. დამტკიცდეს ანგარიშგების წესის შემდეგი სამართლებრივი ფორმები:
   - 2.1. საქმის/საქმის მასალების მიღების ხელწერილი;
   - 2.2. ინტერესთა კონფლიქტის საძიებო ფორმა;
   - 2.3. ბენეფიციართან პირველი კომუნიკაციის/ბენეფიციარის მიღების ფორმა;
   - 2.4. ბენეფიციართან ინტერვიუს ფორმა;
   - 2.5. ბენეფიციარის ინფორმაციაზე წვდომის ხელწერილი;
   - 2.6. კონფიდენციალობის პრინციპის განმარტების ფორმა;
   - 2.7. ბენეფიციართან კომუნიკაციის / ელექტრონული კომუნიკაციის წესი/ფორმა;
   - 2.8. საქმის წარმართვის/დაცვის ანგარიში;
   - 2.9. სტრატეგიის შეთანხმების ფორმა;
   - 2.10. პროცესისათვის/საპროცესო/საგამოძიებო და სხვა მოქმედებში მონაწილეობისათვის მომზადების ანგარიში;
   - 2.11. პროცესის/საპროცესო/საგამოძიებო და სხვა მოქმედებში მონაწილეობის ანგარიში - პროცესის შეჯამების ფორმა;
   - 2.12. სატელეფონო საუბრის დაოქმების ანგარიში/ფორმა;
   - 2.13. საქმის აცილების შუამდგომლობა - ბენეფიციარის ინფორმიება საქმიდან ჩამოცილებაზე;
   - 2.14. საქმიდან აცილების განცხადების ფორმა;

2.15. საქმის აცილების ან სხვა საფუძვლით საქმიდან ჩამოცილებისას ბენეფიციარის საქმის მასალების სხვა ადვოკატისათვის/ბიუროს უფროსისათვის გადაცემის ფორმა;
2.16. საქმის შეჯამების ანგარიში;
2.17. საქმიდან დოკუმენტის ამოღების ფორმა;
2.18. ბენეფიციარის საქმის დახურვის ფორმა;
2.19. საქმის მასალების ბენეფიციარისათვის დაბრუნების/საქმის მასალების განადგურების თანხმობის ფორმა;
2.20. ბენეფიციარის კმაყოფილების კითხვარი;
2.21. საქმის შენახვის/დაარქივების ფორმა;

3. შემუშავდეს წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმების რეკვიზიტები და შინაარსი;
4. აისახოს წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმები ან/და რეკვიზიტები იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაშიც (Case-bank);
5. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე: რამაზ ჩინჩალაძე

საბჭოს წევრები:

თამარ გვარამაძე

ესმა ნორაკია

პავლე აბაიაძე

სოფო ჩაჩავა

ირაკლი გვარამაძე

დანართი N1

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის

პ რ ო ე ქ ტ ი

იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Case-bank) განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ

I. იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Case-bank) კანონმდებლობიდან, სამთავრობო გეგმებიდან, ხარისხის შეფასების მიზნებიდან და სამსახურის სხვა საჭიროებებიდან გამომდინარე სტატისტიკური და სხვა სახის ინფორმაციის/მონაცემების დამუშავებისათვის მოქნილი მოდულების შექმნა/დამატება და ინფორმაციის დამუშავების არსებული სისტემის დახვეწა;

II. სამსახურის თანამშრომელთა მიერ საქმეებთან დაკავშირებული ინფორმაციის დროულად შეყვანის კონტროლის ეფექტური მექანიზმის შექმნა, ინფორმაციის/მონაცემების შეყვანის მოდულის განახლება და გამარტივება;

III. სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეთა მოძრაობის მოდულის (სხვა ბიუროსათვის/რეესტრის ადვოკატისთვის გადაცემა) შექმნა;

IV. თანამშრომელთა მიერ სამსახურის შენობის გარეთ განხორციელებული სამუშაოს დადასტურების, საქმეზე ინფორმაციის შეყვანის გამარტივებისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს გამოთვლის მიზნით აპლიკაციის შექმნა ლოკაციის ფიქსირების ფუნქციით;

V. იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Case-bank) რეესტრის ადვოკატების ანაზღაურების სისტემის ინტეგრაცია;

VI. ადვოკატებს შორის საქმეთა ავტომატური განაწილების მოდულის შექმნა;

VII. ადვოკატთა რეალური დატვირთულობის განსაზღვრისათვის სპეციალური მოდულის შექმნა;